Flyer ‚Unterricht in der Herkunftssprache: Ein Gewinn!' *Übersetzung Georgisch*

ორენოვანი ხართ? გაგიმართლათ!

ოჯახში გერმანულის გარდა სხვა ენაზეც საუბრობთ? ეს ნამდვილად დიდი საგანძურია თქვენი შვილისათვის! რადგან ბავშვები, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ მშობლიურ ენაზე, უფრო მარტივად სწავლობენ გერმანულ და სხვა უცხო ენებს. ამიტომ, მიეცით თქვენს შვილებს საშუალება, მონაწილეობა მიიღონ მშობლიური ენისა და კულტურის გაკვეთილებში (HSK). მსგავსი გაკვეთილები ბაზელ-შტატისა და ბაზელ-ლანდის სკოლებში დაახლოებით ორმოცამდე ენაზე ტარდება.

ერთი ენა, ორი ენა, მრავალი ენა!

ის, ვინც კარგად ფლობს მშობლიურ ენას, უფრო მარტივად ითვისებს სხვა ენებსაც. ამას ადასტურებს მრავალი სამეცნიერო კვლევა. მასწავლებლები კი ამას ყოველდღიურად ამჩნევენ სწავლების პროცესში. გარდა ამისა, მშობლიური ენისა და კულტურის გაკვეთილებს (HSK) კიდევ უფრო მეტი სარგებელის მოტანა შეუძლიათ.

კერძოდ რა უპირატესობა აქვს თქვენს შვილს:

- იგი ეცნობა სხვა ბავშვებს, რომლებიც ლაპარაკობენ იმავე ენაზე.
- მშობლიური ენა გაუადვილებს კონტაქტის დამყარებას ნათესავებსა და ნაცნობებთან.
- თქვენს სამშობლოში იგი უფრო ადვილად შეძლებს გარშემომყოფებთან კომუნიკაციის დამყარებას და ნაკლებად იგრძნობს თავს უცხოდ.
- საშუალება ექნება, ეზიაროს სხვადასხვა კულტურასა და ღირებულებებს.
- იამაყებს საკუთარი ცოდნით და გაუჩნდება კიდევ მეტი ენის შესწავლის სურვილი.

  მოგვიანებით კი ექნება პროფესიული უპირატესობები.

მშობლიური ენის გაკვეთილი

გაკვეთილების მეშვეობით ბავშვებსა და მოზარდებს საშუალება ეძლევათ, უკეთ გაიგონ, ისაუბრონ, წერონ და იკითხონ მშობლიურ ენაზე. გაეცნონ ისტორიული სამშობლოს კულტურას, ადგილობრივ კერძებს, დღესასწაულებსა და ადათ-წესებს, ისწავლონ მისი ისტორია, გეოგრაფია, პოლიტოლოგია. ამ ყველაფერს პროფესიონალი პედაგოგები დიდი სიხარულით გადასცემენ.

მეცადინეობები კვირაში ერთხელ

გაკვეთილები ტარდება კვირაში ერთხელ საჯარო სკოლის შენობებში, თუ ეს შესაძლებელია - თქვენი შვილის სკოლის შენობაში ან მის მახლობლად. აღნიშნული წამოწყების დაფინანსება ხდება წარმოშობის ქვეყნების საელჩოების ან მშობელთა გაერთიანების მიერ. მშობელი, როგორც წესი, იხდის მოსაკრებელს.

დაახლოებით რამდენიმე ათასი ბავშვი უკვე ესწრება HSK-ის გაკვეთილებს ბაზელ-შტატსა და ბაზელ-ლანდის კანტონებში. იქნებ თქვენი შვილიც მალე შეუერთდეს მათ რიგებს?

როგორ შეგიძლიათ მხარი დაუჭიროთ თქვენს შვილს:

- ესაუბრეთ თქვენს შვილს იმ ენაზე, რომელზეც უმეტესად ფიქრობთ და ოცნებობთ. ეს გაითვალისწინეთ მაშინაც კი, თუ ბავშვი გერმანულ ენაზე გპასუხობთ.
- ეცადეთ, თქვენს შვილს გაუღვივოთ ენის შესწავლის ინტერესი. მოუყევით სხვადასხვა ისტორიები, მოუსმინეთ და იმღერეთ მათთან ერთად.
- აღნიშნულ ენაზე მიაწოდეთ სხვადასხვა მასალა: წიგნები, დისკები სიმღერებით და მოთხრობებით, ფილმები.
- ხელი შეუწყეთ კონტაქტს ბავშვებთან, რომლებიც საუბრობენ გერმანულ ან სხვა ენებზე.
- გამოხატეთ დაინტერესება გაკვეთილებისადმი და კონტაქტი იქონიეთ HSK -ის მასწავლებლებთან.

<u>დაარეგისტრირეთ თქვენი შვილი პირდაპირ კლასის მასწავლებელთან ან HSK-ის კოორდინატორთან.</u>

Kantonale Kontaktadressen

Daniel Aeschbach
Erziehungsdepartement Basel-Stadt | Volksschulen
Fachstelle Pädagogische Unterstützung
Kohlenberg 27 | Postfach | 4001 Basel
Tel. +41 61 267 90 08 | daniel.aeschbach@bs.ch
www.bs.ch/hsk

Bildungs-, Kultur- und Sportdirektion Kanton Basel-Landschaft
Amt für Volksschulen
Sekretariat
Munzachstrasse 25c, Postfach 616, 4410 Liestal
Tel. +41 (0)61 552 50 98, avs@bl.ch
www.hsk.bl.ch